ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N10

2015 წლის 26 თებერვალი

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" (სსმ,28.07.2014წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტიდან ამოღებულ იქნას „ი)" ქვეპუნქტი.

მუხლი 2.

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლიდან ამოღებულ იქნას მე-9 პუნქტი.

მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 16 აგვისტოს N 27 დადგენილება.

მუხლი 4.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანხრო-სამშველო სამსახურში პირადი შემადგებლობის სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 16 აგვისტოს N28 დადგენილება.

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე